

ენგურჰესი - უსაფრთხოების გაუმჯობესება

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	54948
ბიზნეს სექტორი:	ენერგეტიკა
გამოქვეყნების ტიპი:	საჯარო
გარემოსდაცვითი კატეგორია:	B
ბორდზე გატანის თარიღი:	2023 წლის 28 ნოემბერი
სტატუსი:	კვლევითი
PSD-ს გამოქვეყნება:	2023 წლის 28 სექტემბერი

პროექტის აღწერა

პროექტი მიზნად ისახავს ენგურჰესის უსაფრთხოებისა და საიმედოობის გაუმჯობესებას და ობიექტის გარემოსდაცვითი სარგებელის გაზრდას.

პროექტის მიზნები

პროექტის მიზანია ენგურის ელექტროსადგურის საიმედოობისა და საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება შემდეგი პროგრამის განხორციელებით: (i) ენგურის კაშხლის სტრუქტურული მდგრადობის სამუშაოები; (ii) მიმდევარი გვირაბის რეაბილიტაციის შემდეგი ეტაპი, (iii) ტრანსფორმატორების, გენერატორის ამომრთველების, სარელეო დაცვისა და ავტომატიზაციის სისტემის მიწოდება სადგურისთვის, (iv) ავარიული სარქვლის დამონტაჟება ერთი ტურბინის წყალსატარზე, (v) კაშხლის ყოველდღიური მონიტორინგისთვის საჭირო გზის რეაბილიტაცია და (vi) თევზგამტარის მშენებლობა მდინარე ენგურის დაღმავალი დინების გასაუმჯობესებლად.

გარდაქმნის ეფექტი

ETI კულა: 60

პროექტი ქვეყანას საშუალებას მისცემს გააძლიეროს საქართველოს კონტექსტში ელექტროენერგიის წარმოების ყველაზე ეკონომიური წყარო. ის ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს ელექტროსისტემის დაბალანსებას და ბაზრის ოპერირებას.

გათვართობა შეესაბამება ბანკის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის მიდგომას (GET) და უზრუნველყოფს "მწვანე" გარდაქმნის ეფექტსკლიმატის ცვლილების შერბილების ძლიერი უპირატესობით, მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის ენერგოეფექტურობის გაზრდით.

ინფორმაციაკლიენტის შესახებ

საქართველო

მსესხებელი არის საქართველო, რომელიც სესხს გასცემს შპს „ენგურჰესს“, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სპეციალური დანიშნულების კომპანიას, რომელიც ფლობს და მართავს „ენგურჰესს“.

EBRD-ის დაფინანსების შეჯამება

EUR 28,000,000.00 ევრო

EBRD-ის მთლიანი დაფინანსება განსახილველი გათვართობის ჩათვლით არის 141 მილიონი აშშ დოლარი.

სესხები გაიცა 1998 წელს (38.7 მილიონი აშშ დოლარი), 2006 წელს (10.0 მილიონი აშშ დოლარი) და 2010 წელს (20.0 მილიონი ევრო) ობიექტის საწყისი რეაბილიტაციისთვის ევროკავშირის, იაპონიის მთავრობის, KfW, EIB და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით.

2017 და 2019 წლებში ენგურის მიმყვანი გვირაბისა და წყალგამტარის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად 38.0 მილიონი ევროს ოდენობის დამატებითი სესხი გაიცა.

პროექტის მთლიანი ღირებულება

35,000,000.00

პროექტის ამ ეტაპის ღირებულება შეადგენს 35 მილიონ ევროს, რის შედეგადაც ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა ფაზის პროექტის მთლიანი ღირებულება იქნება 205 მილიონი ევრო (217 მილიონი აშშ დოლარი).

დამატებითი ფასულობა

EBRD მონაწილეობს გათვალისწინებული დაფინანსების სტრუქტურის მეშვეობით. შემოთავაზებული პირობები საჭიროა პროექტის სტრუქტურისთვის, რაც გამოიწვევს ენგურჰესის მომატებულ მდგრადობას და გამძლეობას.

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შეჯამება

პროექტი B კატეგორიას მიეკუთვნება EBRD-ის 2019 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მიხედვით და წარმოადგენს ენგურჰესზე EBRD-ის მიერ მხარდაჭერილი სარეაბილიტაციო, განახლებისა და ეფექტურობის გაზრდის სამუშაოების მეხუთე ფაზას. მიუხედავად იმისა, რომ ენგურის კაშხალი მიიჩნევა დიდად (ICOLD-ის განმარტებით), სარეაბილიტაციო სამუშაოები შეიძლება ჩაითვალოს B კატეგორიის პროექტად და რისკები და ზემოქმედებები ლოკალიზებული, მარტივად იდენტიფიცირებადი და შერბილებული იქნება. პროექტი მოიცავს უსაფრთხოებისა და ეფექტურობის მნიშვნელოვან ზომებს და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც წარმოადგენს შემოთავაზებული პროექტის დიდ პოტენციალს, მათ შორის მდინარე ენგურის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ენგურჰესი ფუნქციონირებს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის და გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმების მიხედვით, რომლებიც წარმოიქმნება 1-4 ფაზებიდან ერთსა და იმავე კლიენტთან, იმავე ობიექტებში, რომელსაც EBRD აკვირდება. სამუშაოების შემოთავაზებული პროგრამა მიიღებს სპეციფიკურ E&S პირობებს და მას გაუწევს ზედამხედველობას Engurhesi PIU-ს გუნდი, რომელსაც აქვს საკმარისი შესაძლებლობა, განახორციელოს პროექტი EBRD-ის შესრულების მოთხოვნების შესაბამისად. პროექტს მომზადებისა და განხორციელების განმავლობაში დახურულ მონიტორინგს გაუწევს EBRD.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტი მოიცავს ტექნიკურ დახმარებას 400,000 ევროს ოდენობით, რომელიც გამოყენებული იქნება საჭირო კვლევებისა და გამოკვლევების ჩასატარებლად სარეაბილიტაციო ღონისძიებების ეფექტური დიზაინისა და განხორციელებისთვის.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

მპს ენგურჰესი

info@engurhesi.ge

+995 32 2 18 80 11

www.engurhesi.ge

გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია [აქ](#).

PSD ბოლო განახლება

2023 წლის 28 სექტემბერი

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ [EBRD Procurement](#).

ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით](#).

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

[ESP](#)-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია [ESP](#)-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველაკლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. [თითოეულ ასეთ შემთხვევაში](#), OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ [ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს](#).

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით](#).

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM-ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM-ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.